



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება

GEORGIA

CHAIRMAN OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

ORDER



ბრძანება:ბ135.135242471

თარიღი:03/09/2024

**მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის  
როდამ გვარამიანის მივლინების შესახებ**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის და „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის #211 დადგენილების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. მივლინებულ იქნას, ქ. **თბილისში** განათლების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტოში, ნაკრის ახალი საჯარო სკოლის პროექტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, როდამ გვარამიანი 3 (სამი) დღის ვადით ა/წლის 04 სექტემბრიდან.

2. განისაზღვროს, ავტომობილ „**TOYOTA RAV4**“-ზე, **სახ. ნომრით: EE-368-VE** მესტია-თბილისი-მესტია მგზავრობისთვის საჭირო ბენზინი 150 ლიტრით.

3. დაევალოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს უზრუნველყოს 3 (სამი) დღის მივლინების ხარჯის ანაზღაურება.

4. დაევალოს მესტიის მერიის შესყიდვების სამსახურს უზრუნველყოს საჭირო საწვავის შესყიდვა.

5. მიღებული ბრძანების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურსა და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს.

6. ბრძანება ამოქმედდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ.

ქობაღიას ქ. N-12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

